

პრესრელიზი

ზურაბ გელენიძე საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში შექმნილ ენერგეტიკის კომიტეტს უხელმძღვანელებს

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის ფინანსური დირექტორი ზურაბ გელენიძე საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში შექმნილ ენერგეტიკის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

ენერგეტიკის კომიტეტის შექმნის თაობაზე, გადაწყვეტილება საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო. ახლადჩამოყალიბებული კომიტეტის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს:

1. ენერგომდგრადობისა და ენერგოდამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიღწევაში ხელშეწყობა;
2. ენერგეტიკის სფეროში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება;
3. ენერგეტიკული კომპანიებისთვის ხელსაყრელი საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბება;
4. კომპანიებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
5. ენერგეტიკული კომპანიების ჩართულობის ხელშეწყობა მათი ინტერესების დაცვის მიზნით.

ზურაბ გელენიძე "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის" ფინანსურ დირექტორად 2013 წლის 1 ნოემბერს დაინიშნა. 2011 - 2013 წლები კორპორატიული ბიზნესის დირექტორის მოადგილე ს.ს "თიბისი ბანკი". 2010 - 2011 წლები "HSBC Georgia" - კომერციული ბანკინგის უფროსის მოადგილე. 2006 - 2010 წლები კომერციული დირექტორი "BTA Silk Road" ბანკი. ასევე 2004 - 2006 წლებში ს.ს "იბერია რეფრაქტორს"-ის ფინანსური დირექტორი. 1998 - 2004 წლებში ეკავა წამყვანი პოზიციები "საქართველოს ბანკში".

25.05.15

კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

